

## შეცვალების პროცესის მონიტორინგის განვითარების შეცვალება რეალური ოპერატორისა და ვირტუალური მოდელისთვის

ნოდარ აბელაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი ქართველიშვილი – კომპანია British Petroleum

ლერი გაჩეჩილაძე – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანიზაციის

### რეზიუმე

განიხილება რეალურ პირობებში მაგისტრალურ გაზ და ნავთობსადენების სატუბზე სადგურებში წნევის გაზომვისა და სამზომი ხელსაწყოების კალიბრებისას მათი განუსაზღვრელობის შეფასების შედარებითი ანალიზი LabVIEW სივრცეში შექმნილი ვირტუალური მოდელით მიღებული ანალოგიური ამოცანების შედეგებთან, მოდელის აღექვატურობის შეფასების მიზნით.

### 1. შესავალი

გაზომვების სფეროში მონაცემთა დამუშავებისა და გაზომვის შედეგების წარმოდგენის ერთიანი ჰარმონიზებული სისტემის დანერგვა ევროკავშირსა და აშშ-თან მოსალოდნელი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ერთ-რთი ძირითადი მოთხოვნაა, რომელიც გულისხმობს გაზომვის განუსაზღვრელობის შეფასების აუცილელობას ISO 17025 სტანდარტის მიხედვით საწარმოო ტექნიკური თანამშრომლობის ყველა სფეროშითავის მხრივ გაზომვის მონაცემების დამუშავების აღნიშნული მეთოდი კარგი საშუალებაა ვირტუალური მოდელის რეალური გაზომვის სქემასთან ადექვატურობის რაოდენობრივი კუთხით დასახასიათებლად.

### 2. ძირითადი ნაწილი

მაგისტრალური მილსადენის კერძოდ ნავთობსადენის სატუბზე სადგურში წნევის გაზომვის რეალური სქემა და ამ პროცესის ვირტუალური მოდელი LabVIEW სივრცეში [1] საშუალებას იძლევა მოვახდინოთ გაზომვის, კონტროლისა და მართვის პოცესების დამუშავება რეალური მილსადენის პროექტირების ეტაპზე, რისთვისაც აუცილებელ პირობას მოდელის ადექვატურობის შეფასება წარმოადგენს.

რეალურ პირობებში სატუბზე სადგურში წნევის გაზომვა მიმდინარეობს წნევის კალიბრორიდან მიღებული წნევის მნიშვნელობის შესაბამისი ელექტრული სიგნალის, დენის ძალის სიდიდის გაზომვით, მაღალი სიზუსტის Fluke787 ტიპის მულტიმეტრით მიღიამპერებში **mA** მულტიმეტრის გაზომვის დიაპაზონია 0–30 mA. მულტიმეტრის სიზუსტის კლასი 0,05%.

ვირტუალურ მოდელში წნევის გაზომვა, ისევე როგორც რეალურ სქემაში, მიმდინარეობს წნევის კალიბრორიდან მიღებული წნევის მნიშვნელობის შესაბამისი ელექტრული სიგნალის დენის ძალის სიდიდის გაზომვით მიღიამპერებში მოდელირებული მულტიმეტრის ისრიანი და ციფრული გამოსასვლელების საშუალებით, რომლითა გაზომვის დიაპაზონია ასევე 0–30 mA.

რეალური სქემისაგან განსხვავებით წნევის კალიბრორის როლს ვირტუალურ სქემაში ასრულებს შესასვლელი სიდიდეების ვირტუალური სარკმელი, სადაც სასურველი წნევის მნიშვნელობის დაყენება ხდება ხელით, ვირტუალური სარეგულირებელი სახელურის საშუალებთ. შემდეგ მღებულ სიგნალს ემატება შემთხვევითი სიგნალების გენერატორიდან შემთხვევითი მდგრელი. აქვე საჭიროების შემთხვევაში სრულდება 0–ის კორექტირების ოპერაცია ამავე სარეგულირებელი სახელურის დახმარებით, რის შემდეგაც ფორმირებული სიგნალი ხვდება გაზომვის სქემაში.

როგორც რეალურ ასევე ვირტუალურ მოდელში წნევის ერთკერადი გაზომვისას მიღებული მნიშვნელობა 10,4 mA შეესაბამება წნევას 19,5 რ (შესაბამისობის კოეფიციენტების მნიშვნელობის  $1,875 \text{ Br}/\text{mA}$  და  $0,5333 \text{ mA}/\text{Br}$  გათვალისწინებით გვექნება  $10,4 \text{ mA} \cdot 1,875 \text{ Br}/\text{mA} = 19,5$  ბარი, ან  $19,5 \text{ Br} \cdot 0,5333 \text{ mA}/\text{Br} = 10,4 \text{ mA}$ ).

a. გაზომვის განუსაზღვრელობის გამოთვლა რეალური  
გაზომვის სქემისათვის

რეალური გაზომვის სქემის განუსაზღვრელობის გამოსათვლელად შევადგინოთ გაზომვის მირობების სპეციფიკაცია:

- გაზომვა მიმდინარობდა გარემოს  $+30^\circ\text{C}$  ტემპერატურის დროს;
- მულტიმეტრის ათვლის ბიჯი 0,001mA ;
- მულტიმეტრის მუშა ტემპერატურის დიაპაზონი  $(-10 + 50)^\circ\text{C}$ ;
- 1. განვსაზღვროთ გაზომვის ჯამური განუსაზღვრელობის მდგრენელები:
- ვიპოვოთ ძირითადი აბსოლუტური ცდომილების მაქსიმალური მნიშვნელობა

$$\Delta = \pm \frac{\gamma \cdot X_N}{100} = \pm \frac{0,05 \cdot 30}{100} = \pm 0,015 \text{ mA.}$$

• განუსაზღვრელობა გამოწვეული ტემპერატურული გადახრით ნორმალური  $28^\circ\text{C}$ -დან. დამატებითი აბსოლუტური ცდომილება  $18^\circ\text{C}$ ზატარებული გაზომვისას.

პასპორტის მონაცემების მიხედვით ტემპერატურული უფექტის გავლენა გაზომვის სიზუსტეზე გამოითვლება

$$\gamma = \frac{(0,075 + 0,1 \cdot \frac{X_N}{X_0})}{28^\circ\text{C}} \cdot 100\% = \frac{(0,075 + 0,1 \cdot \frac{30}{10,4})}{28^\circ\text{C}} = 0,013\%$$

მიღებული მნიშვნელობის გათვალისწინებით

$$\Delta_e = \pm \frac{\gamma \cdot X_N}{100} = \frac{0,013 \cdot 30}{100} = \pm 0,0039 \text{ mA}$$

2. მულტიმეტრის ათვლის ცდომილებების საზღვრები

$$\Delta_s = \pm \frac{0,001}{2} = \pm 0,0005 \text{ mA}$$

3. ძირითადი ცდომილების სტანდარტული განისაზღვრელობა

$$u_d = \frac{\Delta}{\alpha}$$

წნევის გაზომვის ცდომილების განაწილების კანონი, ერთკერადი გაზომვისათვის, მივიღოთ მართკუთხა განაწილების მქონედ, რომლისთვისაც მოცვის კოეფიციენტი  $\alpha = \sqrt{3}$ . ამის

გათვალისწინებით

$$u_d = \frac{\Delta}{\alpha} = \frac{0,015}{\sqrt{3}} = 0,0087 \text{ mA.}$$

4. სტანდარტული განუსაზღვრელობა დამატებითი აბსოლუტური ცდომილებისათვის

$$u_g = \frac{\Delta_e}{\alpha} = \frac{0,0039}{\sqrt{3}} = 0,00225 \text{ mA.}$$

5. დისკრეტული ათვლის ცდომილების სტანდარტული განუსაზღვრელობა – ტოლია ანათვლის დისკრეტულობის განაყოფისა მართკუთხა განაწილების მოცვის კოეფიციენტზე.

$$u_s = \frac{A_s}{\sqrt{3}} = \frac{0,0005}{\sqrt{3}} = 0,00029 \text{ mA.}$$

#### შევადგინოთ განუსაზღვრელობის ბიუჯეტი

შესასვლელი სიდიდეები	შესასვლელი სიდიდეების შეფასებები	შესასვლელი სიდიდეების სტანდარტული განუსაზღვრელობა	ალბათობის განაწილების სახე
წნევის გაზომილი მნიშვნელობა	10,4mA	–	–
ძირითადი ცდომილება	–	$u_d = 0,0087 \text{ mA}$	მართკუთხა
ტემპერატურული(დამატებითი) ცდომილება	–	$u_T = 0,00225 \text{ mA}$	მართკუთხა
დისკრეტულობის ცდომილება	–	$u_s = 0,00029 \text{ mA}$	მართკუთხა
Y	10,4 mA	$u_{\Sigma} = 0,0089 \text{ mA}$	

კორელაცია: არცერთი შესასვლელი სიდიდე არ ხასითდება მნიშვნელოვანი ხარისხით ურთიერთ კორელირებულად.

#### 6. გამოსასვლელი სიდიდის ჯამური განუსაზღვრელობა

$$u_{\Sigma} = \sqrt{\sum u_i^2} = \sqrt{0,0087^2 + 0,00225^2 + 0,00029^2} = 0,00898 \text{ mA.}$$

7. გამოვთვალოთ გაზომვის შედეგის გაფართოებული განუსაზღვრელობა

$p = 0,95$  სანდობის დონისათვის

$$U = ku_{\Sigma}$$

იმის გათვალისწინებით, რომ განუსაზღვრელობის მდგენელების განაწილების კანონი მართკუთხაა, ხოლო ფარდობა  $\frac{u_T}{u_d} = \frac{0,00225}{0,0087} = 0,3$ .  $p = 0,95$  სანდობის დონისათვის

$\delta = 1,82$  [2]

$$U = ku_{\Sigma} = 1,82 \cdot 0,00898 = 0,0163 \text{ mA}$$

საბოლოოდ გაზომვის შედეგი ჩაიწერება  $(10,4 \pm 0,0163) \text{ mA}$ .

#### ბ. გაზომვის განუსაზღვრელობის გამოთვლა ვირტუალური გაზომვის სქემისათვის

გაზომვის შედეგის შეფასებისა და წნევის გაზომვის განუსაზღვრელობის შეფასებისათვის რეალურ პირობებში შედეგნილი ალგორითმის მიხედვით შევადგინოთ გაზომვის სპეციფიკაცია ვირტუალური მოდელისათვის.

- გაზომვა მიმდინარეობდა ლაბორატორიულ პირობებში  $+22^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის გარემოში რაც განუსაზღვრელობის დამატებითი მდგენელის წარმოშობის წყაროდ არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან კომპიუტერის მუშა ტემპერატურის დიაპაზონი  $(+5; +30)^{\circ}\text{C}$

- ვირტუალური მულტიმეტრის ათვლის ბიჯი  $0,001 \text{ mA}$ ;
- მულტიმეტრის ათვლის ცდომილებების საზღვრები.

$$\Delta_s = \pm 0,001 / 2 = \pm 0,0005 mA$$

- ჩატარებული ერთჯერადი გაზომვის შედეგები მოყვანილია ცხრილში

მიწოდებული წნევა			კალიბრატორის ცდომილება		მულტიმეტრი		
კალიბრატორის იდან	თეორიული ული $X_{\text{თეორ}}$	გაზომილი $X_{\text{გაზ}}$	აბსოლუტური $\Delta$	ფარდობითი $\delta_s$	გაზომილი $\alpha$	აბსოლუტური $X_{\text{მულტ}}$	ფარდობითი $\delta_e$
					გაზომილი $\alpha$	აბსოლუტური $X_{\text{მულტ}}$	ფარდობითი $\delta_e$
$Br$	$mA$	$mA$	$mA$	$\%$	$mA$	$mA$	$\%$
19,5	14,3935	14,40534	0,0118	0,082	14,408	0,0145	0,086

- მიწოდებული წნევის თეორიული მნიშვნელობა ("სანიმუშო" მნიშვნელობა)

$$19,5 Br \cdot 0,5333 mA / Br = 10,4 mA.$$

- კალიბრატორის აბსოლუტური ცდომილების მაქსიმალური მნიშვნელობა

$$\Delta_s = X_{\text{გაზ}} - X_{\text{თეორ}} = 14,40534 - 14,3935 = \pm 0,0118 mA.$$

- კალიბრატორის ფარდობითი ცდომილება

$$\delta_s = \frac{\Delta}{X_{\text{გაზ}}} \cdot 100\% = \frac{0,0118}{14,40534} \cdot 100\% = 0,082\%$$

- მულტიმეტრით გაზომილი წნევის აბსოლიტური ცდომილების მაქსიმალური მნიშვნელობა

$$\Delta_s = X_{\text{გაზ}} - X_{\text{თეორ}} = 14,408 - 14,3935 = \pm 0,0145 mA.$$

- მულტიმეტრის ფარდობითი ცდომილება

$$\delta_e = \frac{\Delta_s}{X_{\text{გაზ}}} \cdot 100\% = \frac{0,0145}{14,408} \cdot 100\% = 0,102\%$$

რეალური მულტიმეტრის სიზუსტის კლასი 0,05%-ის ტოლია, ვირტუალური მოდელისათვის მიღებული მონაცემების მიხედვით შესაძლებელია გამოვთვალოთ კონკრეტული გაზომვის ფარდობითი ცდომილება, რომელიც გამზომი ხელსაწყოს სიზუსტის კლასს განსაზღვრავს.

- მულტიმეტრის ვირტუალური მოდელისათვის ფარდობითი ცდომილება

$$\gamma = \frac{\Delta}{X_N} \cdot 100\% = \frac{0,0145}{30} \cdot 100\% = 0,0483\%$$

განსხვავება რეალურ და ვირტუალურ გამზომი მულტიმეტრების ფარდობით ცდომილებებს (სიზუსტის კლასებს) შორის რეალური მულტიმეტრის სიზუსტის კლასთან შედარებით შეადგენს

$$\gamma_0 = \frac{\gamma_s - \gamma_e}{\gamma_s} \cdot 100\% = \frac{0,05 - 0,0483}{0,05} = 3,4\%$$

სადაც:

- $\gamma_0$  რეალური და ვირტუალური მულტიმეტრების დაყვანილი ცდომილებების (სიზუსტის კლასების) ფარდობითი მაჩვენებელია;
- $\gamma_s$  რეალური მულტიმეტრის დაყვანილი ცდომილება (სიზუსტის კლასი);
- $\gamma_e$  ვირტუალური მულტიმეტრის დაყვანილი ცდომილება (სიზუსტის კლასი).

რეალური და ვირტუალური მულტიმეტრების დყვანილი ცდომილებების მიღებული განსხვავება ვირტუალური მოდელის რეალურთან აღექვატურობაზე მეტყველებს.

ძირითადი ცდომილების განაწლების კანონი, ერთჯერადი გაზომვისათვის, მივიღოთ მართკუთხა განაწილების მქონედ, რომლისთვისაც  $\alpha = \sqrt{3}$ . ამის გათვალისწინებით

7. კალიბრატორის წნევის მნიშვნელობის გაზომვის განუსაზღვრელობა მისი მაქსიმალური აბსოლუტური ცდომილების გათვალისწინებით

$$u_j = \frac{\Delta_j}{\alpha} = \frac{0,0118}{1,732} = 0,0068 \text{ mA}$$

8. მულტიმეტრით წნევის მნიშვნელობის გაზომვის განუსაზღვრელობა მისი მაქსიმალური აბსოლუტური ცდომილების გათვალისწინებით

$$u_\theta = \frac{\Delta_\theta}{\alpha} = \frac{0,0145}{1,732} = 0,0083 \text{ mA}.$$

9. დისკრეტული ათვლის ცდომილების სტანდარტული განუსაზღვრელობა მართკუთხა გნაწილების მოცვის კოეფიციენტის მნიშვნელობისათვის მიღებს სახეს

$$u_s = \frac{\Delta_s}{\sqrt{3}} = \frac{0,0005}{\sqrt{3}} = 0,00029 \text{ mA}.$$

#### შევაღინოთ განუსაზღვრელობის ბიუჯეტი

შესასვლელი სიდიდეები	შესასვლელი სიდიდეების შეფასებები	შესასვლელი სიდიდეების სტანდარტული განუსაზღვრელობა	ალბათობის განაწილების სახე
წნევის გაზომლი მნიშვნელობა	10,4θ	—	—
კალიბრატორის ცდომილება	—	$\Delta_j = 0,0068 \text{ mA}$	მართკუთხა
მულტიმეტრის ცდომილება	—	$u_\theta = 0,0083 \text{ mA}$	მართკუთხა
დისკრეტულობის ცდომილება	—	$u_s = 0,00029 \text{ mA}$	მართკუთხა
Y	10,4 mA	$u_\Sigma = 0,0107 \text{ mA}$	

კორელაცია: არცერთი შესასვლელი სიდიდე არ ხასითდება მნიშვნელოვანი ხარისხით ურთიერთ კორელირებულად.

10. გამოსასვლელი სიდიდის ჯამური განუსაზღვრელობა.

$$u_\Sigma = \sqrt{\sum u_i^2} = \sqrt{0,0068^2 + 0,0083^2 + 0,00029^2} = 0,0107 \text{ mA}.$$

11. გამოვთვალოთ გაზომვის შედეგის გაფართოებული განუსაზღვრელობა  $p = 0,95$  სანდობის დონისათვის

$$U = k u_\Sigma$$

იმის გათვალისწინებით, რომ ერთჯერადი გაზომვის შემთხვევისათვის მოცვის კოეფიციენტის  $k$ -ს მნიშვნელობა შევირჩიოთ იმის გათვალისწინებით, რომ განუსაზღვრელობის მდგრებელების განაწილების კანონი მართკუთხაა, ხოლო ფარდობა

$$\frac{u_s}{u_j} = \frac{0,00029}{0,0083} = 0,03. \quad p = 0,95 \text{ სანდობის დონისათვის } k = 1,68$$

$$U = k u_\Sigma = 1,68 \cdot 0,018 = 0,018 \text{ mA}$$

საბოლოოდ გაზომვის შედეგი ვირტუალური მოდელისათვის ჩაიწერება  $(10,4 \pm 0,018) \text{ mA}$

განსხვავება რეალურ და ვირტუალურ გამზომი მულტიმეტრებისგაფართოებულ განუსაზღვრელობებს შორის რეალური მულტიმეტრის განუსაზღვრელობასთან შედარებით შედგენს

$$U_o = \frac{U_s - U_f}{U_s} \cdot 100\% = \frac{0,0163 - 0,018}{0,0163} = 10,4\%$$

რაც დამაკმაყოფილებელ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

### 3. დასკვნა

რეალურ პირობებში მაგისტრალურ გაზ და ნავთობსადენების სატუბბ სადგურებში წნევის გაზომვისა და სამზომი ხელსაწყოების კალიბრებისას მათი განუსაზღვრელობის შეფასების შედარებითი ანალიზიLabVIEW სივრცეში შექმნილი ვირტუალური მოდელით მიღებული ანალოგიური ამოცანების შედეგებთან, გვიჩვენებს მოდელის აღეჭვატურობის შესაძლებლობას, რაც დროითი და მატერიალური რესურსების მკვეთრი შემცირების საშუალებას იძლევა მიღსადენების პროექტირების, კაღრების მომზადებისა და ექსპლუატაციისას წარმოშობილი ფორს-მაჟორული სიტუაციების მართვისათვის.

#### ლიტერატურა:

1. ნ.აბელაშვილი, გ.ქართველიშვილი. LabVIEW-ს სივრცეში ტრანსმიტერის ვირტუალური მოდელი მაგისტრალურ მიღსადენზე წნევი კალიბრებისა და გაზომვისათვის. შრომები. მართვის ავტომატიზებული სისტემები. №2(13), 2012

2. . Захаров И.П., Сергиенко М.П., Чепела В.Н., Никитин Д.С. Оценивание неопределенности при проведении метрологических работ. Методический документ по метрологии. ПМХ 33.1405—2005 Харьков. 2008.

## ESTIMATION UNCERTAINTY OF DIRECT PRESSURE FOR A SINGLE MEASUREMENT OF THE REAL OBJECT AND THE VIRTUAL MODELS

Abelashvili Nodari – Georgian Technical University,

Kartvelishvili Giorgi – BritishPetroleum Company,

Gachechiladze Leri – A single national accreditation body

#### Summary

Examine the question of measurement, calibration, and comparing the results of measuring uncertainty as in real conditions atgas and oil pipelinesstations as in virtual models using the LabVIEW, forestablishment the adequacy of the model.

## ОЦЕНИВАНИЕ НЕОПРЕДЕЛЕННОСТЕЙ ПРЯМОГО ОДНОКРАТНОГО ИЗМЕРЕНИЯ ДАВЛЕНИЯ ДЛЯ РЕАЛЬНОГО ОБЪЕКТА И ВИРТУАЛЬНОГО МОДЕЛЯ

Абелашвили Н.Н. – Грузинский Технический Университет,

Картвелишвили Г. – компания BritishPetroleum,

Гачечиладзе Л. – Единый национальный орган аккредитации

#### Резюме

Рассматривается вопрос измерения, калибровки и сравнения результатов оценок неопределенностей измерительных средств в реальных условиях и для виртуальных моделей в пространстве LabVIEW на перекачивающих станциях магистральных газо и нефтепроводов, с целью оценки адекватности модели.